# ცნობის ფურცელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

II Ⴜ. ყოველ-დღიური გამოცემა **1901** შაბათი, 5 მაისი **№ 1456**

...ფასი დიას: წელიწადში—**6** მან., თვეში—**75** კაპ., ცალკე ნომერი—**3** კაპ., ფასი განცხადებისა: ...ებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—**10** კ. მეოთხეზე—**5** კაპ.
...ის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის" და „ცნობის ფურცლის" რედაქციაში ...ს ქ., № 27, წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. კანცელარიაში და წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგო-...იოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, **11** საათიდან **1**-ლ საათამდე.
**რედაქციის კანტორა** იმყოფება ვანქის დიდ ქუჩაზე, მარტირუზოვის სახლში, № 27.
ფოსტის ადრესი: **Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"—„Моамбе". ტელეფონი № 372.**

## სახალხო სეირნობა
### საქველ-მოქმედო ბაზრითურთ.

...ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" მიერ განზრახული ...ხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ გაიმართება 20 ღ 21 მაისს. შემოწირულებათა ...ოგზავნა ამ ბაზრისთვის შეიძლება კნ. ოლგა თადეოზის ასულს ჭავჭავაძისასთან, ნი-...ოოზის ქუჩა, № 21, და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზო-...ების" კანცელარიაში, სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურთა ქარვასლაში.

---

### ტფილისის კერძო ამბულატორია
**მიხეილ გედევანიშვილისა.**

...მყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა უქმეების გარდა,

**დ ი ლ ი თ:**

... ი. ჯიჯინაძე—კბილის სნეულებანი 8—... საათამდე.
...ხეილ ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და ...რობა ელექტრონით—9—10 ს.
... ა მუდინი—ყურისა, ყელისა და ცხვირი-...11—12 საათამდე.
... ვ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი ...0—12 საათამდე.
... ნ. შატილოვი—თვალის 11—12 ს.
...ქიმი ქალი მ. ს. ბაქრაძე-ბავშვების 11—12 ს.
... ა. გედევანიშვილი—ნერვებისა და შინა-...—12—1 საათამდე.
... დ. მარკევიჩი—სადოსტაქრო— $12^1/_2$ საათამდე, სამშაბათობით 3—4 საათამდე.
... დ. ბეგთაბეგოვი—სიფილისისა, კანისა და ...რდვსი—$1^1/_2$—2 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

... ნ. თუმანიშვილი—დედათა სნეულებანი ...—6 საათამდე.
... ა. ბელოგოლოვი.—შინაგანი (სტომაქის ...მეოთვალბანი) და მიკრო-ქიმიური გამოკვლე-...—5—6 საათზე.
მაღალაშვილი—კვირაობით—10—12 ს.
...ამბულატორიას აქვს საწოლი ოთახები.
...სი რჩევისა და დარიგების 50 კ.; ოპე-...ები—მორიგებით. კრაოტი 4 მან. დღე ...აშეში. ერთი კრაოტი დარიბთათვის უფა-...

...რესი: კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი ...ანაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის ...ირ). ტელეფონი № 274. (წლ.)

---

...ფილისის არტისტიულ საზოგადოების დარბაზში
**შაბათს, 5 მაისს 1901 წ.**
...იმართება **ძ. ე. ვ. სარაჯიშვილის**

## ...ონცერტი,

...ომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ: ... გ. ი. მარტინოვისა და ტ. ი. ტერ-...ფანოვისა; ბ.ბ. მ. ტ. ვასილიევი, ლ. ...ლიუდვიგოვი, თავ. ი. ბარათაშვილი ...ბ. ს. მგალობლიშვილი.
...ილეთები ისყიდება არტისტ. საზოგ. ...ტრის კასსაში და კნ. ნ. ნ. ორბელიან-... (ალექსანდროვის ქ., № 6). (3—უ.—3)

---

**გ ა მ ო ც დ ი ლ ი**

## მიწის-მზომელი

...ღებს კერძო სამიწის-მზომელო სამუ-...ოებს. ადრესი მსურველთ შეუძლიათ ...ხონ „ცნობის ფურცლის" რედაქცია-... (3—ნ.—2)

---

### მთავრობის განკარგულებანი
**სამხედრო უწყებას:**

პოდპრაპორშჩიკებს: ნავაგინის მე-78 პოლკის ჩიქოვანს და ყარსის მეციხოვნე ქვეითა ჯარისას წინამძღვრიშვილს ებოძათ პოდპორუჩიკობა. სამსახურში წარჩინებისათვის პოდპოლკოვნიკს ნაკაშიძეს ებოძა პოლკოვნიკობა.

დათხოვნილ იქმნა თანახმად თხოვნისა ტფილისის სათადარიგო ჯარის კაპიტანი თავ. აფხაზი პოდპოლკოვნიკის ჩინით.

**სამოქალაქო უწყებას:**

ტფილისის ოლქის სასამართლოს ბრალმდებლის ამხანაგი კოლეჟსკი სოვეტნიკი ტარსაიძე დაინიშნა იმავე ოლქის სასამართლოს წევრად.

---

## დეპეშები
(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

**3 მაისი.**

**პეტერბურგი.** 2 მაისს პეტერბურგიდან წაბრძანდა პრინცესსა ევგენია მაქსიმილიანეს ასული ოლდენბურგსკისა.

3 მაისს საზღვარ-გარეთიდან დაბრუნდა დიდი მთავარი მიხეილ სიკოლოოზის ძე.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მდ. ვეტლუგაზე დაიღუპა სამგზავრო გემი „ელისაბედ". მგზავრები გადაარჩინეს.

**პენზა.** გენერალისსიმუსის სუვოროვის ყოფილს მამულს—მაროვის სოფლის საზოგადოებას (მოკშანის მაზრა) ეწოდება სახელი დიდებულის სარდლისა; საზოგადოების უმთავრეს სოფელსაც, მაროვკას, დაერქვა სუვოროვო, ხსენებულის სარდლის სახსოვრად.

**კოვნო.** ანეულ ნათესობას მთელს გუბერნიაში კარგი პირი უჩანს. ამინდი კარგია.

**ლონდონი.** როსმიდიდან არა ოფიციალურად იტყობინებიან, რომ დევეტი კვლავ შეიჭრა კაპის ახალშენში და დაბანაკდა ზურის მთებში ერთის დიდის ზარბაზნით. ბურების პატარა რაზმები გაჩნდნენ აგრეთვე ზურის მთებში ნაუვპორტთან.

იტყობინებიან, რომ რამდენიმე დღის წინად კაპის ახალშენში გადვიდა ბურების რაზმი, ასი კაცისაგან შემდგარი.

კრადოკიდან იუწყებიან, რომ ინგლისელ ცხენოსანთა რაზმს, 30 კაცისაგან შემდგარს, ნავაიბურგთან სამშაბათს მომხდარ ბრძოლაში მოუკლეს 4 კაცი და დაუჭრეს—6.

**პრეტორია.** იტყობინებიან, რომ ავსტრალიის მსროლელებმა ტყვედ წაიყვანეს 27 კაცი პრეტორიუსის რაზმიდან; ეს რაზმი გაფანტულ იქმნა.

**იოჰანესბურგი.** რამდენიმე დღის შემდეგ გამოცხადებულ იქნება განკარგულება საქალაქო თვითმმართველობის დაწესების შესახებ.

**პარიზი.** გამოცხადდა, რომ ხელის-მოწერა რუსეთის ახალ სესხზე მიიღება როტშილდის საბანკირო კანტორაში; 500-ფრანკიანი ობლიგაცია ეღირება 492 ფრანკად და 50 სანტიმად; ხელის-მოწერის დროს მყიდველმა უნდა შეიტანოს 50 ფრანკი, ობლიგაციების განაწილების დროს მყიდველთა შორის-100 ფრ., ორს ენკენისთვეს-200 ფრ. და ორს დეკემბერს-დანარჩენი $142^1/_2$ ფრ..

(საღამოს დეპეშები იხილე მე-4 გვერდზე.)

---

## ჟურნალ-გაზეთებიდან

✿ ინგლისის დეპუტატთა პალატამ, როგორც ვიცით, დაამტკიცა ქვა-ნახშირზე დადებული ბაჟი. ეხლა პალატა შეუდგება მთავრობის პროექტის განხილვას, რომელიც ჯარის რეორგანიზაციის საქმეს შეეხება. ოპპოზიციამ უკვე ბევრი წინადადება წარმოადგინა ამ პროექტის წინააღმდეგ; მათ შორის პირველი ადგილი უჭირავს ოპპოზიციის ლიდერის (წინამძღოლის) კემპბელ-ბანერმანის მიერ წარმოდგენილ წინადადებას. მაგრამ მთავრობისათვის ყველაზე მეტად საშიში ის წინადადებაა, რომელსაც პალატის «სამოქალაქო» კომისია წარადგენს. ამ კომისიას დიდი გავლენა აქვს პალატაზე.

✿ ის უდიდესი გაფიცვა, რომლის მსგავსი ჯერ ისტორიას არ უნახავს და რომელსაც იმუქრებოდნენ ინგლისელი ქვა-ნახშირის მადნების მუშები, თუ რომ პალატა დაამტკიცებს ქვა-ნახშირზე ბაჟსაო,—აღარ მოხდება. მთა-მადნის მუშების დელეგატების კონფერენციამ, რომელიც ამ ჟამად ლონდონშია შეკრებილი, 24 აპრილს სხდომა მოახდინა «ვესმინსტერ პალაც»-ის სასტუმროში და დაადგინა, რომ საყოველთაო გაფიცვა სასურველი არ არისო. ამ კრებამ შემდეგი რეზოლიუცია მიიღო:

«ხაზინის კანცლერის განმარტებით, უცხოეთში გაყიდულ ქვა-ნახშირზე დადებული ბაჟი მხოლოდ უცხოელ მუშტრებს დააწვებათ ტვირთად და რომ ეს ბაჟი სრულებითაც არ იქონიებს გავლენას ინგლისელ მუშების სამუშაო ქირაზე. დეპუტატთა პალატამაც სწორედ ამ მოზეზით შეიწყნარა ხსენებული გადასახადი. ამიტომ ქვა-ნახშირის მადნების მუშები ჰფიქრობენ, რომ ეხლანდელ გარემოებათა შორის სასურველი არაა საყოველთაო გაფიცვის მოხდენა. მაგრამ ამავე დროს მადნის მუშები ჰფიქრობენ, რომ თუ რომელიმე ოლქში ახალი გარდასახადის მიზეზით სამუშაო ქირა დაკლებულ იქმნა, დაუყოვნებლივ ახალი კონფერენცია უნდა შეიკრიბოს და განიხილოს, სასურველია თუ არა ქვა-ნახშირის მადნების მუშებმა საყოველთაო გაფიცვა მოახდინონ».

ამავე დროს დელეგატებმა მიიღეს მეორე რეზოლიუციაც, რომელშიაც პროტესტს აცხადებენ იმ ცნობის წინააღმდეგ, ვითომ იმათ მადნების პატრონებთან მოლაპარაკება ჰქონდათ გამართული საყოველთაო გაფიცვის შესახებაო.

✿ 24 აპრილს ინგლისის საერო განათლების მინისტრმა (საიდუმლო საბჭოსთან დაწესებულ კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა) ჯონ გორსტმა დეპუტატთა პალატას საშუალო სკოლების რეფორმის კანონ-პროექტი წარუდგინა; მთავრობა დაჰპირდა თავის მომხრეებს, რომ ამ კანონ-პროექტს უსათუოდ წლეულვე დაამტკიცებს. ახალი კანონის შინაარსი შემდეგია:

მთელს ინგლისში და უელსში დაწესდება ახალი ადგილობრივი ორგანოები სასკოლო საქმის ზედამხედველობისათვის: სოფლის ოლქებში (საგრაფოებში) სასკოლო საბჭოების ტეხნიკური კომიტეტები დაწესდება, ხოლო ქალაქებში—საქალაქო საბჭოების კომიტეტები. ეს კომიტეტები მოწყობილნი იქმნებიან იმ გეგმის დაგვარად, რომელიც ადგილობრივი მთავრობის მიერაა შედგენილი. ცალკე საგრაფო საბჭოებს ნება აქვთ შეერთდნენ და ერთი დიდი სასკოლო ოლქი შეადგინონ. ახალ სასკოლო კომიტეტებს არა აქვთ უფლება ახალი გადასახადები დააწესონ: ისინი მოიხმარებენ მხოლოდ იმ ფულებს, რომლებსაც საგრაფო საბჭოებისაგან მიიღებენ; სამაგიეროდ ამ უკანასკნელთ ნება აქვთ სკოლის საქმის მოსაწყობად ახალი დამატებითი გადასახადები შემოიღონ. სასკოლო კომიტეტები უმთავრესად შესდგებიან საგრაფო საბჭოების წევრებისაგან, მაგრამ კომიტეტის წევრებად სხვა პირების არჩევაც შეიძლება, მათ შორის ქალებისაც. აწ არსებული სასკოლო საბჭოები, რომლებიც პირველ-დაწყებით სკოლებს განაგებენ, ისევ წინანდებურად იმოქმედებენ. ახალი კომიტეტები უმთავრესად საშუალო სკოლებს გაუწევენ ზედამხედველობას. პირველ-დაწყებით სკოლებისა და საშუალო სკოლების ზედმიწევნითი განსაზღვრა ადგილობრივ მთავრობასა აქვს მინდობილი.

ამ პროექტმა ცხარე კამათი გამოიწვია. ჯემს ბრაისმა განაცხადა, რომ ეს პროექტი მეტის-მეტად რთულიაო. მან სთქვა, რომ ერთ დროს ორნაირი კომიტეტების არსებობა, როგორც სასკოლო საბჭოები და ახლად დაარსებული კომიტეტებია, ბევრ განხეთქილებას გამოიწვევს მათ შორისო. სხვა ორატორებმაც ის აზრი გამოსთქვეს, რომ ერთი ისეთი ადგილობრივი მთავრობა უნდა დაწესდეს, რომელიც როგორც პირველ დაწყებით, ისე საშუალო სკოლებს უნდა განაგებდესო. შემდეგ ამისა კანონ-პროექტი პირველ წაკითხვის შემდეგ მიღებულ იქმნა.

✿ 24 მაისს ინგლისში, მონმაუტის ოლქში, კონსერვატორი დეპუტატის გარისის ნაცვლად სხვა ახალი დეპუტატი აირჩიეს. ეს არჩევანი მეტად საინტერესო იყო. მონმაუტის ოლქში ქვა-ნახშირის მრეწველობას მისდევენ და ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ ამომრჩევლები, რომლებიც უკმაყოფილონი არიან ქვა-ნახშირის ბაჟის გამო, უსათუოდ ლიბერალს ამოირჩევენ დეპუტატად. მაგრამ ასე არ მოხდა. ამორჩეულ იქმნა კონსერვატორი ლორენსი, რომელმაც 4604 კენჭი მიიღო, როდესაც ლიბერალმა სპაისერმა, რომელიც 1892 წლიდან 1900 წლამდე მონმაუტის დეპუტატად იყო, მხოლოდ 4261 კენჭი მიიღო. კონსერვატიული გაზეთები ამ მონმაუტის არჩევნების შედეგს იმის დამამტკიცებელ საბუთად სთვლიან, რომ ხალხს მთავრობის სამხედრო პოლიტიკა ისევ წინანდებურად მოსწონსო.

✿ ინგლისელი მოვინისტები ემზადებიან, რომ ლონდონში დიდის ამბით დაუხვდნენ ბ. ალფრედ მილნერს. მის პატივსაცემლად საჯარო მანიფესტაციები გაიმართება. მილნერის უკანასკნელი სიტყვის შემდეგ, რომელიც მან კაპშტადტში წარმოსთქვა, ლონდონში დარწმუნებულები არიან, რომ მილნერს დიდი უთანხმოება მოუვიდა ლორდ კიტჩენერთან და ამიტომ მოდის ინგლისშიო. დარწმუნებულები არიან აგრეთვე, რომ მილნერს სწადიან ინგლისის მთავრობის წინაშე ბეჯითად დაიცვას თავისი შეურიგებელი პოლიტიკა წინააღმდეგ ლორდ კიტჩენერისა, რომელიც უფრო ლმობიერს პო-

ტფილისი

ლიტიკას მისდევს და უფრო მზადაა, რომ ბურებს შეურიგდეს.

✿ კაპშტადტის მოქალაქეთა ნადიმზე ბ. ა. მილნერმა სიტყვა სარმოსთქვა. მან განაცხადა, რომ მოკლე ვადით ევროპაში მიდის, ხოლო ისევ დაბრუნდება და ომის გათავების შემდეგ სამხრეთ-აფრიკაში ახალ წეს-რიგს დააწესებს. მილნერმა ბეჯითად განაცხადა, რომ ხმები ინგლისის პოლიტიკის დასუსტების შესახებ სამხრეთ-აფრიკის საქმეში ყოველ საფუძველს მოკლებულიაო; მთავრობის პროგრამა ისევ წინანდებური რჩება: მას ჰსურს სამხრეთ-აფრიკა შეაერთოს ინგლისის ბაირაღ ქვეშ და სამუდამოთ ნიადაგი გამოაცალოს ბურების ამაუ ლტოლვილებას.

✿ «ნოვოსტია»-ს დეპეშა ლონდონიდან:

«აქ ამბავი მოვიდა, რომ დევეტი ბოტას შეუერთდა და ინგლისის რაზმებს სდევნისო. ინგლისის ჯარი მეტის-მეტად გაჭირვებულ მდგომარეობაშიაო»

✿ ინგლ. გაზ. «ტაიმს»-ში დაბეჭდილია კრონშტადტელი კორესპონდენტის წერილი 28 მარტის რიცხვით. ამ წერილს დიდი ყურადღება მიაქციეს ლონდონის პოლიტიკურმა წრეებმა. კორესპონდენტი ინგლისის ჯარის მდგომარეობას მეტის-მეტად გაჭირვებულად სთვლის:

«ჩვენმა მეცადინეობამ, რომ ორანჟეს რესპუბლიკიდან ბურები გაგვედევნა, თუ სრულობით უნაყოფოდ არ ჩაიარა, არც დიდი ნაყოფი მოიტანა. რკინის გზების დასაცველად საჭიროა 75 ათასზე არა ნაკლები კაცი; ამას გარდა ქალაქებში თუ სოფლებში საჭიროა ძლიერი მეციხოვნე ჯარები. ამიტომ ბურებთან საბრძოლველად მხოლოდ მთელი ჯარის მესამედი ნაწილი-და თუ რჩება; ამასთანავე ეს ჯარი მეტად დასუსტებულია ავადმყოფობისაგან; 18 თვის განმავლობაში ბრძოლამ დაქანცა ჯარი და ყველაფრის ხალისი დაუკარგა. ამას გარდა ჩვენი ჯარი საკმაოდ სწრაფად ვერ მოძრაობს; საჭიროა აქ მეოფი ჯარი შევასვენოთ და ახალი მაშველი ჯარები გამოვგზავნოთ. ყველა ჩვენი ჯარის კაცი სასოწარკვეთილებით ჰკითხულობს: «როდის გათავდება ეს დაწყევლილი ომი» და სხვა და სხვა.

✿ ამ უკანასკნელ 1—2 წლიწადში სოციალიზმმა თვალ-საჩინოდ გაიმარჯვა ესპანიაში: უფრო ღრმად გაიდგა ფესვი მუშა-ხალხში და უფრო ცხადი გეგმა შეიმუშავა თავისი მოქმედებისათვის. გაფიცვები, რომლებსაც დიდ-ძალი მუშათა ჯგუფები ახდენდნენ, ერთი-მეორეს მოსდევდა: მთა-მადნის მუშების გაფიცვა, რკინის გზების მოსამსახურეებისა, ხაბაზების და სხვ. მადრიდში და ბარცელონაში ერთ და იმავე დროს ტრამვაის მოსამსახურეებმა მოახდინეს გაფიცვა; ეს ტრამვაები უმეტეს ნაწილად უცხოეთის უსახელო საზოგადოებათ ეკუთვნიან. მადრიდში უმეტესად ქალები და ბავშვები დაეცემიან ხოლმე ტრამვაის ვაგონებს, რელსებს ახდენენ და ქვებს ესვრიან ვაგონებს; ასე რომ ტრამვაის მიმოსვლა მხოლოდ ცხენოსანი პოლიციის მფარველობით-და თუ შეიძლება ხოლმე. ტრამვაის პატრონებს საჩივრები შეაქვთ და ზარალს სთხოვენ ხოლმე იმ მუშების ასოციაცის, რომელსაც გაფიცული მუშები ეკუთვნიან; ეს გარემოება უფრო აღელვებს მუშებს. მადრიდის და ბარცელონის ტრამვაის საზოგადოებათ განზრახვა აქვთ მოსამსახურეები საზღვარ-გარეთიდან გამოიწერონ; ეს განზრახვა თუნდა რომ ნაწილად შესრულდეს, უსათუოდ უწესოებას გამოიწვევს. 1 მაისმა საზოგადოდ ყველგან მშვიდობიანად ჩაიარა, გარდა კატალონიის და პალმისა. თითქმის ყველა დიდ ქალაქებში მუშებმა კრებები მოახდინეს და ქალაქ გარედ სეირნობა გამართეს. ბადახოსში დიდძალმა მუშებმა ყველა ქუჩები მოიარეს თეთრი ბაირაღით, რომელზედაც ეწერა: «8 საათი სამუშაოდ, 8 საათი შესასვენებლად, 8 საათი სასწავლებლად». ბილბაოში 6000 მანიფესტანტი 20 ბაირაღით მისდევდა ეტლსა, რომელიც სოციალურ რესპუბლიკას წარმოადგენდა. ვილიადოლიდასაი, ვალენსიაში, ვიგოში, კორდოვაში და ბევრ სხვა ქალაქებში მუშებმა კრებები მოახდინეს. მადრიდში ორი კრება მოხდა. ორივე კრებაზე მეტად ცხარე სიტყვები იყო წარმოთქმული; ხანდახან მოისმოდა მუქარაც, მაგრამ საზოგადოდ კი ესპანიელი სოციალისტების მეთაურის პაბლო იგლაზიასის აზრი ჰსუფევდა, რომ «მუშებისათვის ერთი პირი და თანხმობა—დინამიტის სჯობიაო».

სამწუხაროდ, პალმაში, კუნძულ მაიორკაზე, უწესოება მოხდა, იქ მანიფესტანტები ძალას ატანდნენ იმ მუშებს, რომლებიც მუშაობას განაგრძობდნენ, რომ ხელი აეღოთ და მათ შეერთებოდნენ; ფაბრიკის მუშებს ახელებდნენ და ერთი ფაბრიკა, სადაც ქვების სროლა დაუწყეს, მანიფესტანტებმა სულმთლად გაანადგურეს. ბერების ერთ მონასტერს მუშები დაუმსხვრიეს. ბარცელონაში ნავთ-სადგურზე მუშაობა თითქმის სულ შეწყვეტილ იქმნა. დიდძალი მუშა დადიოდა ქალაქის მიდამოებში და თხოულობდა, რომ ფაბრიკებში მუშაობაზე ხელი აეღოთ. ყველა იმ ფაბრიკებს, სადაც მუშაობდნენ, ქვები დაუშინეს და ამის გამო ისინი იძულებულნი იყვნენ მუშების ნება შეესრულებინათ».

## ახალი ამბავი

✦ მომავალ კვირაში კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწის ფრეზეს თავმჯდომარეობით დაიწყება ამიერ კავკასიის გუბერნატორების და ოლქის უფროსების სხდომები.

✦ ხუთშაბათს, 3 მაისს, სხდომა ჰქონდა ტფილისის გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულოს. სხდომაზედ საბოლოოდ განიხილეს დ დაამტკიცეს ქალაქის მიმდინარე წლის ხარჯთ-აღრიცხვა.

✦ ტფილისის გუბერნატორმა წინადადება მისცა ქალაქის თვით-მმართველობას, ჩქარა გამორკვეულ იქმნას საკითხი ტფილისში სამრეწველო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

✦ მომავალ გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტს გადაუწყვეტია, მიჰმართოს უცხოელ კონსულებს ტფილისში, რათა ამათ დახმარება აღმოუჩინონ მას უცხოელ ფირმების და პირების მოწვევით გამოფენაში მონაწილეობის მისაღებად.

✦ გუშინ სახაზინო პალატამ გაუგზავნა ტფილისის ქალაქის მამგეობას სია იმ პირთა, რომელნიც გამორიცხულნი არიან ვაჭრების სიიდან.

✦ ტფილისის გუბერნატორმა შეატყობინა ტფილისის ქალაქის თავს, რომ იგი ამტკიცებს მომავალ გამოფენაზედ ქალაქის პავილიონის ამშენებელ კომისიაში არჩეულ პირებს.

✦ საქალაქო დებულების ძალით, საბჭოს დადგენილება, რომლის შესახებ გუბერნატორი არაფერს შეატყობინებს საბჭოს ორი კვირის განმავლობაში, კანონიერ ძალაში შედის. როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ტფილისის ქალაქის გამგეობის წევრმა შესტაკოვმა აღძრა კითხვა, ეხება თუ არა დებულების ეს მუხლი ხარჯთ აღრიცხვისაც. ამ კითხვას ახლო მომავალში განიხილავს გუბერნიის საქალაქო საქმეთა საკრებულო.

✦ ტფილისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოების წევრების უკანასკნელ კრებაზე, როგორც ვიცით, ხმის უფლება არ მისცეს ხსენებულ საზოგადოების არა წევრთ, თუმც მათ ნამდვილ წევრების ვექილობანი ჰქონდათ. ეხლა, როგორც შევიტყვეთ, ეს პირები სასამართლოს წესით აპირობენ თავიანთ უფლების აღდგენას.

✦ 12 აპრილს უმართებულესმა სენატმა მოახდინა ერთი საინტერესო დადგენილება ტფილისელ სახლის მეპატრონე იმნაძის საჩივრის გამო ტფილისის ქალაქის თვით-მმართველობაზე, რომელმაც ნება არ მისცა ხსენეიულ იმნაძეს შენობა აეგო თავის საკუთარ ადგილზე. სენატის ახსნით, ქალაქის თვით-მმართველობათ არ აქვთ უფლება ნება არ მისცენ მესაკუთრეებს შენობის აგებისა იმ მიზეზებით, რომ ადგილი, სადაც უნდა აიგოს შენობა, საჭირო იქნება ქუჩის გაგანიერებისათვისო.

✦ გუშინ-წინ, როგორც ჩვენმა მკითხველებმა იციან, ტფილისის ქალაქის გამგეობაში სხდომა ჰქონდათ გამგეობას, ნიხრის დამწესებელ კომისიას, ბეითლებს და მიწვეულ პირებს ტფილისის ბაზარში არსებულ ხორცის კრიზისის მიზეზების გამოსაკვლევად. ეს მიზეზები ყოფილა: 1) კანონი, რომელიც ავალებს საქონლის პატრონს უთუოდ რკინის გზის საშუალებით მორეკოს გასაყიდი საქონელი, 2) საქონლის დიდ ვაჭართა არ არსებობა, 3) იაფ კრედიტის არ არსებობა წვრილ ვაჭართათვის, რის გამო ეს უკანასკნელნი იძულებულნი არიან ნისიათ ივაჭრონ. საქონლის პატრონები კი ნაღდს რჩეობენ და სხვაგან მიდიან თავიანთი საქონლით და სხვ.—კრებამ საჭიროდ დაინახა ხორცის ბაზრის გასაუმჯობესებლად: 1) საქალაქო ხორცის დუქნები დაარსება 2) დაარსება მომხმარებელ საზოგადოებათა საქონლის პირდაპირ პატრონისაგან სასყიდლად; 3) დაარსება საკომერციო ბიუროებისა ამავე მიზნისათვის, 4) მორეკილ საქონლის შენახვის გასაადვილებლად „სათივე ეზოების“ და საძოვრების გაფართოება, 5) ხორცის ხარისხებად დაყოფა და ხარისხების მიხედვით ნიხრის დანიშვნა. ქალაქის გამგეობას განზრახვა აქვს ამ მოკლე ხანში ვრცელი მოხსენება წარუდგინოს საბჭოს ამ კითხვების შესახებ.

✦ ქუთაისის სავაჟო გიმნაზია აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები გიმნაზიის პირველ კლასში მოხდება 28-ს და 29 მაისს.

✦ „პრავიტელსტ. ვესტნიკის“ უკანასკნელს ნომერში დაბეჭდილია უმაღლესი ბრძანება, რომლით 1901 წლიდგან კავკასიის სამთო მადნებში გამოსაკვლევად ყოველ წლივ გადადებულ უნდა იქმნას 35,000 მან., 8,000 მ. მაგიერ, რომელიც წინა წლებში იხარჯებოდა.

✦ ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ 24 თებერვალს კნ. თ. ი. ჭავჭავაძის თაოსნობით გამართულ კონცერტიდან წმინდა შემოსავალი დარჩენილა 662 მან. 5 კ.

✦ ბავშვებზე მზრუნველ საზოგადოების გამგეობას განზრახვა აქვს გამართოს ალექსანდრეს ბაღში სახალხო სეირნობა; ამიტომ იგი სთხოვს ქალაქის გამგეობას დაუთმოს ხსენებული ბაღი მას ამ მიზნისათვის.

✦ ბუხარის ემირი აღარ მოდის ამ ზაფხულს აბასთუმაში.

✦ ხმოსანმა ე. ს. ბაბოვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გაანთავისუფლონ იგი მომავალ გამოფენაზედ ქალაქის პავილიონის ამშენებელ კომისიის წევრობიდან.

✦ ტფილისის გუბერნატორმა მოსთხოვა ქალაქის თავს, დაუყოვნებლივ წარმოუდგინოს მას ცნობები ციციშვილის გორიდან გადმოვარდნილ დ მოკვდარ ავაქოვის შესახებ. ეს ცნობები თურმე მოუთხოვნიათ ერთის წლის წინად.

✦ მიუხედავად კარგა ღონიერ წვიმისა, გუშინ წინ, საღამოს 5 საათზე, ტფილისის 1-ლ გიმნაზიაში შესდგა მოსწავლეების სამხედრო და გიმნასტიური ვარჯიშობა.

✦ ხუთშაბათისთვის (3 მაისი) დანიშნული საზოგადოება ქალაქის თვით-მმართველობაში მოსამსახურეთა შემნახველ-გამსესხებელ კასის წევრებისა არ შესდგა წევრთა საჭირო რიცხვის დაუსწრებლობისა გამო.

✦ ამ მოკლე ხანში მთავრობა დაამტკიცებს სასამართლო საქმეების წესდებას, რომელიც დიდი ხანია შემუშავებულია სათანადო დაწესებულებათაგან. ახალის წესდებით, ნაფიც ვექილთა წოდებაში თავისუფლად შეეძლებათ შესვლა იურიდიულ ფაკულტეტის პროფესსორებს და იურისტ მოხელეებს, თავ-თავიანთ უფროსების ნებართვით, რასაკვირველია. იმ ოლქებში, სადაც ნაფიც-ვექილთა რიცხვი 60 მდე ადის, შემოღებული იქნება ნაფიც ვექილ[თა] საბჭოები; იქ კი, სადაც ნაფიც ვექილ[თა] რიცხვი 20-ს არ აღემატება, მათი მო[...] დების თვალ-ყურის [illegible] თლო პალატა [illegible] მიქცეულია ყურადღება იმ მეტად [...] ჰონორარზე, რომელსაც იღებდნენ ვე[ქი]ლები; მაგ, სასტიკად აკრძალული იქნ[ება] ისეთ საჰონორარო პირობის შეკვრა, [რო]მელიც დამოკიდებული იქნება საქმის [მო]გებისა თუ წაგებისაგან. მიქცეულია [მ]რეთვე ყურადღება იმ გარემოებაზე, [რომ ზ]ოგიერთ ნაფიც ვექილს ბევრი თანაშ[ემწე] ჰყავს. ახალის კანონით, ნაფიც ვექ[ილს] შეეძლება მიიწეროს თავისთან მხოლო[დ ...] თანაშემწე. ნაფიც ვექილის თანაშ[ემწე] სავალდებულო 5-ის წლის პრაქტიკის [მა]გიერ შემოღებულ იქნება 3 წლის პრაქტ[იკა]. თითოეულ ოლქის ნაფიც ვექილთა შორ[ის] შეიძლება იყოს 10% არა-ქრისტიანი. [თუ] ვექილთა საბჭოს, აზრით რომელიმე თან[ა]შემწე მომზადებული არ არის გახდე[ს ნა]ფიცი ვექილი, საბჭოს შეუძლიან და[უნი]შნოს მას ახალი ვადა. ნაფიც ვექ[ილის] თანაშემწეს არ შეუძლია დარჩეს თანაშ[ემწედ] 7 წელზე მეტი. ეს უკანასკნელი მუ[ხლი] არ ეხება არა-ქრისტიანებს.

✦ ფოსტა-ტელეგრაფის უწყების [...]ტის მოსამსახურეთ მიეცემათ ხაზინ[ის] სადგომის ფული. პირველ ოთხის წლ[ის]თვის გადადებულია ამ საქმისათვის 1.600.[000] მანეთი.

✦ მიწად-მოქმედების სამინისტრო [...]დგება ამ ზაფხულს ზუთხის ჯიშის თე[ვზე]ბის ხელოვნურ მოშენებას მდ. ვოლგ[ა]ში და მტკვარში, სადაც ამ ჯიშის თევზი [...]და-თან კლებულობს.

✦ გამოვიდა და დაურიგდა ხელის მ[ომ]წერლებს მე-IV ნომერი ჟურნალ „ჯ[ეჯი]ლისა“, შემდეგის შინაარსით: 1) „ქრი[სტე] აღდგა“ ლექსი—ბაჩანასი; 2) „ობო[ლი]“ მოთხრობა—დ. თომაშვილისა; 3) „პატ[არა] მათხოვარი“ (თარგმანი)—ნ. ყიფიან[ისა]; 4) „ლიკიის მკვიდრნი“ (ოვიდიუსიდა[ნ]) ა. ყუმისთაველისა; 5) „გაზაფხული და პყრობილე“ (ლექსი)—დუტუ-მეგრელ[ისა]; 6) „ძაღლი და კატა“—კახ-იმერლისა; 7) „ლედი ჯენ“ მოთხრობა, გაგრძელება (თ[არ]გმანი)—ე. წერეთლისა; 8) „მოსწრებ[ული] პასუხი“—ბეს. ვაშაძესი; 9) „ორი შვი[ლი]“ (ლეგენდა)—ირაკლი წ-ლისა; 10) წვრ[ილ]მანი: აკროსტიხი, ანდაზები, ჩქარა გა[მო]სათქმელი, გამოცანები და სხვ.

✦ ხმ. ბებუთოვმა შეიტანა ქალ[აქის] გამგეობაში განცხადება, რომელშიაც თხოულობს საერთო სასაფლაოსათვის [...]რო მიწის გამონაწილებას ქალაქის მ[იწე]ლებიდან.

✦ ტფილისში მცხოვრებმა მანგლის[...] ქალმა სტეფანიდა ელცოვისამ მიჰმ[ართა] ტფილისის პოლიცმეისტერს განცხად[ებით], საიდგანაც სჩანს შემდეგი: 1897-ში ს[...]ნიდას მოჰკვდომია ქმარი; მანგლისის [...]ლის საზოგადოებას დაუარსებია სამზ[რუნ]ველო გარდაცვლილის მამულზედ და [შვი]ლებზედ, ასე რომ დედა სრულებით [მო]შორებიათ (?) შვილებისათვის. დედა [ტფი]ლისში ჩამოსულა და აქ დაუწყვია ცხო[ვრე]ბა; შვილებისა მან არ იცოდა-რა. მხოლ[ოდ] ეხლა შეუტყვია, რომ მისი 14 წლის [...] იმყოფება ავჭალის ქუჩაზედ გარყვნილ[...] ერთ სახლში. ტფილისის პოლიცმეისტ[ერს] დაუყოვნებლივ მოახდინა განკარგუ[ლება], ჩაებარებინათ შვილი დედისათვის.

## ტფილისის გუბერნიის თავად-აზნა[ურ]თა საგანგებო კრება

3 მაისი

კრება დაიწყო საღამოს 9 საათზედ. მჯდომარემ წარუდგინა კრებას განსახი[ლვე]ლად კომისიის მოსაზრება ტფილისის თავად-აზნაურო ბანკის დამფუძნებ[...]

...ის შესახებ. კომისიის აზრით, უნდა ...რას უმაღლეს მთავრობის წინაშე შუა...მდგომლობა, რომ ნება დაერთოს ტფ. თა...აზნაურობას აღნიშნულ ფულებით და...ის წოდებრივი ხაზინა და აგრეთვე შე...ენ შეჰკრიბონ თავად-აზნაურთაგან ...ს მოწერა იმის შესახებ, რომ თითოე...უარს აცხადებს ფულების მიღებაზედ ...ტოვებს საზოგადოების სასარგებლოდ ...ე კეთილ საქმისათვის.

...სთანავე თელავის მაზრის თავად-აზნა...ა წინამძღოლმა თავ. დ. ე. ჩოლოყა...მა წაიკითხა განცხადება 100 კაცისა...ხელმოწერილი, რომელნიც აცხადებენ ...ევს: 1898 წლის 14 აპრილს თელა...მაზრის თავად-აზნაურობის კრებამ გარ...წყვიტა—მათი ხვედრი ფული გამოტა...იქმნეს სათავად-აზნაურო ბანკიდან და ...სონ თელავის მაზრაში ისეთი საკრე...ო დაწესებულება, რომელმაც ხელი ...წყოს მაზრის ეკონომიურად წარმატე... მაგრამ აქამდე ეს ფული გამოუტანე... ბანკიდან, რაც ჩვენთვის დიდი ზარა..., რადგანაც ამ ფულებისაგან, ვიდრე ...ე საქმეს დავიწყებდეთ, კარგა ძალი სა...ელი შეგროვდებოდა და ახლა კი ამას ...ლებული ვართო... ამისთვის თელავის ...ის თავად-აზნაურობა ურჩევს კრებას— ...მდგომლობა იქმნას აღძრული, რომ ...ფუძნებელთა თანხა სრულად გადაეცეს ...დ-აზნაურობას, რათა უკანასკნელი იქ... გამცემი და დამრიგებელი ამ ფულისა, ...ის ნაცვლად.

...ავმჯდომარე თავ. დ. ზ. მელიქიშვილი. ამ ...დ დაყენებულია ორი საკითხი: გადადე... იქმნას მთელი ჯამი დამფუძნებელთაგან ...ლებ ფულისა საზოგადოების სასარგებ...დ; ამასთანავე კომისია გვიჩვენებს სა...ლებას, თუ როგორ უნდა მოხდეს ამ ...ის ხელ უხლებლად საზოგადო სასარ...ლოდ დატოვება, და მეორე—რა სასარ...ლო დაწესებულება შევქმნათ ამ ფულით? ... შეეხება თელავის მაზრის თავად-აზნა...თა განცხადებას, გთხოვთ ამის შესახე... გამოსთქვათ თქვენი აზრი.

...ელავ. მაზრ. თ.-აზნ. წინამძღ. თავ. ჩო...აშვილი. თელავის თავად-აზნაურობა თვის ...ცხადებაში თხოულობს, რომ მათი წილი ...ლი გადაცემულ იქმნეს გუბერნიის თა...აზნაურთა წინამძღოლზე, რომელმაც ...ლმწიფო ბანკში უნდა შეიტანოს იგი. ...ვად-აზნაურო ბანკში ამ ფულების გა...ბა მაზარალებელია. კახეთის ორივე მა... წილი სულ 50,000 მანეთია და წლი...დ კარგს სარგებელს მოიტანს; ხოლო ...გან ბანკიდგან გამოუტანელია, სარგე... გვეკარგება.

...ვ. დ. ჯანდიერი. რამდენადაც ვიცი, ...ავის თავად-აზნაურობა უსათუოდ შეუ...დება გუბერნიის თავად-აზნაურთა სურ...ს—ეს ფულები საზოგადო სარგებლო... დარჩეს და არა მაზრებში იქმნეს გა...ლი; ხოლო თუ იგინი ფულზე ამ გვა... მოთხოვნილებას აცხადებენ, ეს მიტომ, ... ფული უსარგებლოდ ძევს ბანკში. მე...ს მხრით, აღნიშნული მოთხოვნილება ... უფრო საყურადღებოა, რომ ფულს იმ ...ო უფრო ადვილად გამოვიტანთ ბანკი... საზოგადოების განკარგულებაში.

...ვ. აფხაზი. სიღნაღის მაზრის თავად-აზ...რობაც ითხოვს ეს ფული გადაეცეს გუ...ნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს სა...მწიფო ბანკში შესატანად თავად-აზნა...რობის დეპოზიტში.

... ვ. მაჩაბელი. საყურადღებოდ არის და...ბული საკითხი თელავის თავად-აზნაუ...ისაგან აღნიშნულ ფულის ბანკიდან ...ტანის შესახებ, რასაც მხარს უჭერს ... ლ. ჯანდიერიც. ჩემის აზრით, უსა...დ მალე უნდა იქნეს ეს ფული ამ გზით ...ტანილი. რაც შეეხება თელავის მაზ... თავად-აზნაურთა განცხადებას, რომ ...რი წილი ფულისა მაზრაში გა...ტანონ რაიმე საკრედიტო დაწესებულე... შესაქმნელად, რომ მით დახმარება გაე...წიოს მცხოვრებთა ეკონომიურად წარმატე...ბას, ჩემის აზრით, ეს მოთხოვნა უსაფუძ...ვლოა; მართალია მათ აქვთ უფლება ამ ფულების მიღებისა, მაგრამ საჭიროა ეს ფულები საერთო ფონდის დასაარსებლად იქნეს გადადებული, მით უმეტეს, რომ კახეთის მდგომარეობის სურათი მალე შეიცვლება. ახლოს მომავალში იქ რკინის გზას გაიყვანენ და ეს მხარე აღარ იქნება მოწყვეტილი მთელის ქვეყნისაგან. ჩემის აზრით, სამი საკითხი უნდა გადავწყვიტოთ: პირველი, გამოტანილ იქმნეს სათავად-აზნაურო ბანკიდან გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლის სახელობით დამფუძნებელთა ფული და შეტანილ იქმნას სახელმწიფო ბანკში სარგებლით; მეორე—როგორ გადავსწყვიტოთ თელავისა და სიღნაღის მაზრების თავად-აზნაურთა განცხადება, და მესამე,—შემუშავებულ იქმნეს წესი, თუ რა საზოგადო საჭიროებას მოხმარდეს ეს ფული?

თავმჯდ. თავ. მელიქიშვილი. კომისიამ საჭიროდ დაინახა, ვიდრე აღნიშნულ იქნებოდეს სასარგებლო საქმე, უნდა მოვძებნოთ რამე ნაირად საშუალება, რომ აღნიშნული ფულები თავად-აზნაურთა საერთო საკუთრება შეიქნეს და ამიტომ გვიჩვენებს საშუალებას და აცხადებს უმაღლეს მთავრობასთან აღვძრათ შუამდგომლობა—მოგვეცეს ნება, თანახმად კანონდებლობის მე-IX ტომისა, ხაზინის დასაარსებლად. ყველა მაზრების შესაერთებლად საჭიროა უჩვენოთ საგანი, თუ რაში მოვიხმართ ფულს. ამ საკითხების ყოველ მხრით განსახილველად ან ახალი კომისია ამოვირჩიოთ და ან ისევ იმ კომისიას მივანდოთ საქმე.

ა. ნ. ფურცელაძე. ეს ფული კერძო საკუთრებაა და ჩვენ არ შეგვიძლიან საზოგადო სარგებლობისთვის გადავდვათ იგი, ვიდრე თანხმობა არ იქნება განცხადებული კერძოდ ყველა მონაწილეთაგან. საჭიროა ამ ფულების მისაღებად იურიდიული უფლება და ამიტომ უნდა პირველად შევქმნათ ასეთი პირი. საუკეთესო საშუალება ამ ფულების მისაღებად ის იქმნება, რომ დავაარსოთ სათავად-აზნაურო ხაზინა, გავაწეროთ დანარჩენ თავად-აზნაურობას, რომელთაც არ აქვთ წილი ამ ფულებში და ამ რიგად ეს ფულებიც აქ დარჩება და კიდევ მეტიც შეიძლება მიემატოს. თუ კიდევ ცოტა ხანი შეჩერდა ამ ფულების საქმე ისე, როგორც ეხლა, შესაძლებელია—სულ ხელიდგან გამოგვეცალოს, რადგანაც ბევრნი სულ მუქთად ჰყიდიან თავის უფლებათ ამ ფულების გამოსატანად. უნდა საზოგადო სავალდებულო დადგენილება გვქონდესო, ისე, როგორც ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობამ გადასწყვიტა.

თავ. ვაჩნაძე. ერთი გარემოება არ მივიღეთ სახეში, სახელდობრ ისა, რომ უნდა საშუალება იქმნას მიღებული ხელი მოაწერონ ყველა მაზრის თავად-აზნაურებმა, რომ ამ ფულებს საზოგადო სარგებლობისათვის ხელ-უხლებლად სტოვებენ.

ექიმი გაბაშვილი. თანახმაა ბ. ფურცელაძის მიერ დასახელებულ საშუალებისა და აცხადებს კომისია იქმნეს ამორჩეული ამ საქმეების განსახილველად.

კამათმა ღამის 12 საათამდე გასტანა თითქის. ბოლოს კრებამ გადასწყვიტა მიენდოს ისევ ძველს კომისიას მსურველთა მონაწილეობით და აგრეთვე იმ პირთა მონაწილეობით, რომელთაც თავად-აზნაურთა წინამძღოლნი მიიწვევს. საბოლოოდ გადასწყვიტოს, თუ რა წესით შეიძლება დამფუძნებულთა თანხის საზოგადო სასარგებლოდ გადადება და სისრულეში მოიყვანოს თავისი გარდაწყვეტილება. შემდეგ თავად-აზნაურთა შორის კამათი გამოიწვია აგრეთვე ქართულ დრამატიულ საზოგადოების განცხადებამ შემწეობის აღმოჩენის შესახებ. როგორც გვქონდა აღნიშნული, დრამატიულმა საზოგადოების გამგეობამ სამი წლით აიღო სათავად-აზნაურო თეატრი იჯარით ქარვასლის გამგეობისაგან. ფორმალურად თუმცა ხელ-შეკრულობის გათავება ვეღარ მოასწრეს, მაგრამ შინაურულად კი უკვე გათავებული ჰქონდათ საქმე. რადგანაც გამგეობამ დროზე თეატრის შეკეთება—განათება ვერ მოასწრო და დრამატიული საზოგადოება-კი პირობით შეეკრა რუსულ-დრამატიულ დასს, რომლისთვის 1 ოქტომბრიდან თეატრი უნდა ჩაებარებია, ხოლო ვადას გადააცილეს, ჯარიმა გადაიხადეს დასკის სასარგებლოდ 2125 მან. და დედინცოვისა—300 მან. დრამატიულ საზოგადოებას საქმის ასეთი გარემოების გამო დიდი ზარალი მოუვიდა, ვალი აქვს 3400 მან. და საზოგადოდ მთელი ზარალი უდრის 7863 მან. ამიტომ სთხოვს თავად-აზნაურთა კრებას დრამატიული საზოგადოების გამგეობა შემწეობა აღმოუჩინოს მას, რომ რამე ნაირად შეიძლოს თავის დახწევა ასეთ უკიდურეს მდგომარეობიდან.

თავმჯდომარე. სარევიზიო კომისიის აზრით, ზნეობით ვალდებულნი ვართ დრამატიულ საზოგადოების მდგომარეობას ყურადღება მივაქციოთ; კომისია ამბობს, რომ 8 დღე მოუცდათ მხოლოდ საზოგადოებას ჩვენის მიზეზით და დღეში უნდა 125 მან. ჯარიმა გარდავიხადოთ, რაც სულ 1000 მ. შეადგენს.

ვ. ა. ხულხანიშვილი. კომისიას, ალბად, სრული ცნობები არ ჰქონია, როცა 8 დღის მეტს არ ანგარიშობს; ბევრად უფრო მეტი დღე გასცდა თეატრი და ჯარიმის რაოდენობაც მეტია.

თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილი. სასამართლომდე ჩვენ არ უნდა მივიყვანოთ საქმე, რადგანაც გამგეობა გაურიგდა დრამატიულ საზოგადოებას და თუმცა ფორმალურად არ ჰქონიათ ხელ-შეკრულება დაწერილი, მაგრამ საქმე უკვე გათავებული ჰქონდათ. ამიტომ, ჩემის აზრით, უნდა უსათუოდ აღუდგინოთ ზარალი დრამატიულ საზოგადოებას.

გ. დ. გაბაშვილი. კომისიამ თავისი აზრი გამოსთქვა და მე თუმცა, როგორც წევრმა, იქ ხელი მოვაწერე და თანახმა ვარ, აქ ჩემდა თავად უნდა მოგახსენოთ, რომ სწორედ უნდა დავეხმაროთ დრამატიულ სასოგადოებას მისი უკიდურესი მდგომარეობიდან გამოსაყვანად. ჩემის აზრით, საკმარისი იქნება ვაპატიოთ მათზე დარჩენილი იჯარის ფული 2400 მ. და ამას გარდა მივცეთ კიდევ 900 მან; ასე რომ სულ ჩვენი შემწეობა 3300 მან. იქნება: კრებამ თითქმის ერთხმად გადასწყვიტა, ა. გაბაშვილის წინადადების თანახმად, ეპატიოს დრამატიულ საზოგადოებას მერთებული 2400 მან. და მიეცეს კიდევ 900 მ.

კრება ნაშუალამევის პირველ საათზე შესწყდა და გადაიდვა 4 მაისს, საღამოს 7 საათისათვის, მამულის გამგეობის წევრების ასარჩევად.

---

# პროვინცია

**სოფ. სუფსა** (გურია). ეს სოფელი ახალი მოშენებული სოფელია, რკინის გზის გაყვანის შემდეგ. მცხოვრებნი მეტად ჭრელია: აქ შეხვდებით მეგრელებს, საჯავახოელებს, იმერლებს და გურიის სხვა და სხვა სოფლებიდან ჩამოსახლებულთ. არის აქ გვარიანი მოზრდილი დაბა, აქვთ საკუთარი სამრევლო სკოლა, მშვენივრად მოწყობილი პატარა ხის ეკკლესია და კარგს ნიადაგზე დამდგარი უფასო სამკითხველო. ეს სამკითხველო დაარსდა ამ სამი წლის წინად თავ. ჯამბაკურ და ტელემაკ გურიელების სახელობაზე, რომელთაც პირველად დაარსებაზე შრომა და შემწეობა არ დაუზოგავთ. მათ საჭირო მიწაც კი შესწირეს მშვენიერ ადგილას და კარგ ფასადაც დირებული. შენობის ასაგები ფული ბაზრის და სოფლის მცხოვრებლებმა მოჰკრიფეს და სულ უბრალო შენობა შეიძინეს, მაგრამ ეს უბრალო შენობა ადგილობრივმა სადგურის უფროსმა ბ. ალექ. ანტ. ანტონოვმა დიდად გაამშვენიერა და დღეს ერთი კოხწია შენობაა მშვენივრად მორთულ მოწყობილი. სუფსა სწორედ რომ ბედნიერია ყოჩაღი სადგურის უფროსებით. ჯერ იყო და აქ იდგწოდა მცხოვრებთა საკეთილდღეოდ ბ. ივანოვი-მეუღლითურთ, რომ[ე]ლ[მა]ც ის გადაიყვანეს, გულდაწყვეტილმა საზოგადოებამ სადილი გაუმართა და საჩუქარი უძღვნა. ვინ იცოდა, თუ მას შესაფერი მოადგილე გამოუჩნდებოდა. მაგრამ, საბედნიეროდ ჩვენდა, ივანოვის მოადგილე ბ. ანტონოვი ღირსეული მოადგილე გამოდგა და თავგამოდებით იწყო შრომა სკოლის, ეკკლესიის და სამკითხველოს სასარგებლოდ. აი ეხლაც ბ. ანტონოვის მეთაურობით სუფსაში 22 აპრილს გაიმართა წარმოდგენა სამკითხველოს სასარგებლოდ. წარმოდგენა გაიმართა რკინის გზის ფარდულში, რომელიც ბ. ანტონოვს მთელი წლით აუღია გზათა სამინისტროსაგან, გაუმართავს შიგ სცენა, შეუძენია ფარდა და სხვ. ეს, რასაკვირველია, თვით ხელმოკლე რკინის გზის მოსამსახურეთათვისაც ძლიერ კარგია. წარმოდგენაზე მოწვეული იყო ბათუმის სამხედრო მუსიკა. პირველად დადგმული იქნა რუსული კომედია «Неудачникъ», რომელშიაც მონაწილეობას იღებდნენ ადგილობრივი რკინის გზის მოსამსახურე რუსები. ამის შემდეგ დადგმულ იქმნა «ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე» და «ადამ და ევა», ორივე პიესა ჩინებულად ჩაატარეს სცენის მოყვარეებმა, მეტადრე («ადამ და ევა»-ში) ჩინებული იყო თავადის ასული ბუდ. მიქელაძე, რომელმაც დიდის სინამდვილით დაგვისურათხატა სოფლელი ქალის სულელური ცნობისმოყვარეობა და სულწასულობა. საზოგადოება დიდძალი დაესწრო. მახლობელი სადგურებიდანაც კი იყვნენ ბევრი სტუმრები, მეტადრე დანჩხუთიდან, რუსებიც ბლომად იყვნენ. დიდად მადლიერმა სუფსის საზოგადოებამ ბ. ანტონოვი ტაშის ცემით გამოიხმო სცენაზე და მიართვა თაიგული და მრავალ პირთაგან ხელმოწერილი ადრესი. ეს ამბავი საგულისხმოა. უცხო ტომის კაცი, რომელმაც ჩვენებურის ინჩიც არ იცის, ცდილობს ჩვენის განათლებისათვის და ჩვენები მის ნაცვლად, რომ მას ხელი შეუწყონ... მაგრამ ამაზე შემდეგში. იმედია, ბ. ანტონოვს სხვა სადგურებშიაც ადმოუჩნდებიან მიმბაძავნი პირნი და ისინიც ეცდებიან ხალხის თვალში მოიპოვონ ნდობა და სიყვარული თავიანთი კეთილი მოქმედებით. როგორც დაბეჯითებით გავიგე, ეხლა დიდად დაფაცურებულან დანჩხუთის სადგურის მოსამსახურე პირები და საამადლებოდ აპირებენ სადგურში გამართონ სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენა. ღმერთმა ხელი მოუმართოთ. ამაღლებას იქ დღეობა იციან და შემოსავალიც ბლომად იქნება ისე, როგორც სუფსაზე იყო 120 მანეთამდე.

აპ. წულაძე

---

**ს. ილორი.** (სენაკის მაზრა). ბევრი უბედურება და უსამართლობა მოხდება იქ, სადაც «წიგნის უცოდინარი» მამასახლისია. სოფლის სასამართლო მწერლის გავლენის ქვეშ იმყოფება და მის ნებაზე ტრიალებს. მამასახლისი იარადია მწერლის და მისი ბრძანების აღმასრულებელი. ის უგდებს ყურს და მწერალი უკითხავს მოწერილობას. მაზრის უფროსიდან არის ის თუ ბოქაულიდან. მაგრამ რამდენად სიმართლით უკითხავს და ამოქმედებს, ამას, სხვათა შორის, შემდეგიც დაგვანახვებს: წარსულ კვირას ორ გლეხს დავა მოუხდათ ადგილზე; ერთმა დახნა ადგილი, მაგრამ მეორემ დამით პატარა სახლი ჩადგა შიგ უფლების ასასდგენათ. პირველმა, რა ნახა ეს, ბოქაულთან გაიქცა და მოწერილობა მოიტანა. მოწერილობის ძალით იყო, თუ მწერლის შექეზებით, მამასახლისმა სახლი დაანგრია და პატრონი შებორკილ-შებოჭილი ბოქაულთან წარადგინა. ეს მოქმედება კანონზე გადაცილებული შეიქნა და მამასახლისის საქმე ცუდათ მიდიოდა. მწერალი და სხვა შემაქეზებელი პირები კი უკან ჩამოდგნენ. ღმერთმა უშველოს ისევ ჩვენს შუა კაცებს, საქმე მისწი-მოსწიეს და ჩააფუჩეჩეს და უბრალო მამასახლისი ხიფათს ააშორეს.

სხვა მრავალი ამისთანები მოხდება იქ, სადაც ესეთი მამასახლისია და კარგი იქნება მიექცეს ყურადღება ვისიც ჯერ არს, რომ არჩევის დროს არ მიიღებოდეს სრულებით უსწავლელი მამასახლისი.

რაც შეეხება ჩვენი სოფლის გზებს და ხი-

დებს, ესენი მეტად უყურადღებოთ არიან მიტოვებული. ცნობილი ორპირის შარა გზა მეტად ცუდ მდგომარეობაშია. ტალახებს ვინ ჩივის, რომ ხიდები ვარგოდეს; აქაურ ხიდებზე გასვლა ძალიან სათრთხილოა. ეს გზა ქუთაისიდან ოზურგეთამდის სოფლის მცხოვრებლებს უადვილებს ნაწარმოების გამოტანას დაბებში გასასყიდათ ასე გვარ საჭიროების დასაკმაყოფილებლად და კარგი იქნება მიექცევოდეს ჯეროვანი ყურადღება, რომ ცოტათ მაინც არის შეკეთდებოდეს.

ს. ფ.

---

**ფოთი**. წელს, ია-ვარდით მოკაზმულს «მაისობას» (1 მაისი), თუმცა ცუდი ტაროსი უშლიდა ხელს, მაგრამ მაინც აუარებელი სტუმარი ეწვია ფოთს. თითქმის ერთი კვირა იქნებოდა, რაც სამტრედიიდან მომავალი ფოთის სასახლო მატარებელ აუარებელ მგზავრებს ეზიდებოდა. 1 მაისს, საათის ორზე, დაიწყო დენა წალკოტისაკენ ქალთა და ვაჟთა რაზმებმა; იქ ჩვეულებრივად ბურთი უნდა გავარდნილიყო, ამისათვის მობურთავე გურულები და მეგრელებიც ადრე შეიკრიბნენ, რათა დროზედ გასჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ხუთ საათზე გავარდა ბურთი. პირველად გურულებმა მკვირცხლად შეუტიეს ბურთს და ღელოსაკენ გაიქანეს, მაგრამ მოგეხსენებათ «ძალა აღმართს ხნავსო», სანამ გურულები ღელოს გაიტანდნენ, მეგრელები მედგრად შეებრძოლნენ მოწინააღმდეგეთ და ეოჩადად წაიღეს ბურთი ღელოსაკენ. რომ დაატყვეს საქმე ცუდად მიდის და მეგრელები სიმრავლით გვჯაბნობენო, გურულების მომხრე იმერლებმა ბურთი გაჭყლიტეს და ღელოზე მარტო ტყავი გაიტანეს გამარჯვებულ მეგრელებს.

2 მაისს, ქალაქის ბაღში, ფოთის ღედათა სკოლის სასარგებლოდ გამართული იყო, ქ-ნ ა. გ. მიქაბერიძის თაოსნობით, სახალხო სეირნობა საქველ-მოქმედო ბაზრითურთ. ამ დღეს ბაღი მშვენივრად იყო გაჩირაღდნებული. ხალხის გასართობათ ბაღში მოწვეული იყვნენ ცირკიდან «კლოუნები», რომელთაც ბევრი აცინეს დამსწრე საზოგადოება. ბაღშივე გამართული იყო მშვენიერი ბუფეტი. შემოსავალი რიგიანი უნდა დარჩეს.

ი. იანეთელი

---

# საღამოს დეპეშები

4 მაისი.

**პეტერბურგი**. გამოცხადდა ფინანსთა მინისტრის ცირკულიარი იმის შესახებ, რომ დამზადებული შაქრის ნაწილი გაყიდულ იქმნეს რუსეთში დამატებითი ბაჟის გადაუხდელად.

გენერალ გროდეკოვის დეპეშა ხაბაროვსკიდან: „25 აპრილს განკარგულება მოვახდინე, რომ აკშისა, ჩიტოს და ნერჩინსკის ოლქებში სამხედრო წეს-რიგი გაუქმებულ იქმნენ, გარდა ჩინეთის საზღვარზე მდებარე ადგილისა; სამხედრო წეს-რიგი დატოვებულ იქნება აქშის ოლქის მეორე სამხედრო განყოფილებაში სოფლებში: ვტორაია ჩინდანსკაიაში, ცაგანში, ოლევსკაიაში, დუროვსკაიაში და ზორგოლსკაიაში; ამას გარდა სამხედრო წესრიგი დატოვებული იქმნება ნერჩინსკის ოლქის მეოთხე განყოფილებაში: ნერჩინსკის საზოგადოებაში და სოფლებში: ჩალბუჩინსკაიაში, ოლოგინსკაიაში, ბოლშეზერენტუისკაიაში, არგუნსკაიაში, უსტუროვსკაიაში და არკინსკაიაში».

**სან-ფრანცისკო**. მაკ-კინლეი მოვიდა აქა და თავის მეუღლის საწოლს არ შორდება; პრეზიდენტის მეუღლე ძალიან არის ავად. მისი მორჩენის იმედი აღარაა.

**ბერლინი**. მთავარ-სარდალი იუწყება პეკინიდან, რომ აფეთქება კალგანში, ალბად, ძლიერი იყო და უფრო მეტი კაცი იმსხვერპლა, სინამ ჰფიქრობდნენ პირველი ცნობის მიხედვით. 7 ცხენოსანი ჯარის-კაცი მკვდრები იპოვეს; პორუჩიკი კუმმერი და მჭედელი მძიმედ არიან დაჭრილი; ორი ჯარის კაცია აგრეთვე ძლიერ დაჭრილი.

**კონსტანტინეპოლი**. გუშინ გამოცხადდა ბ დღეს უცხოეთის ელჩებს გადაეცა ოსმალეთის მთავრობის ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ ამას წინად დაწერილის ორივე ნოტას ჰქონდათ აზრად ელჩების ყურადღება მიექციათ იმ მოსაზრებაზე, რომელმაც აიძულა ოსმალეთის მთავრობა დაუყოვნებლივ უცხოეთის საპოსტო დაწესებულება დაეხურა; ამას გარდა ოსმალეთის მთავრობას უნდოდა ყურადღება მიექცია ამ საფოსტო დაწესებულებათა უსწორ-მასწორო ქცევაზე, რის გამოც ოსმალეთის მთავრობას დიდი შემოსავალი აკლდებოდა. ნოტაში გახსენებულია ის განკარგულებანი, რომლებიც თავის დროზე უცხოეთის სახელმწიფოებმა მოახდინეს, რათა კონტრაბანდა შეუძლებელ ეყოთ. შემდეგ ნათქვამია, რომ უცხოეთის ფოსტასთან ხშირად ძვირფასი საქონელი და აღკრძალული ნივთებიც იგზავნებაო. ამიტომ ოსმალეთის მთავრობა თავის მოვალეობად სთვლის აუწყოს უცხოეთის ელჩებს საქმეთა ამისთანა ცუდი მოგომარეობა, რაიცა ცუდი კონტროლის შედეგს წარმოადგენს. დასასრულ სინანულია გამოთქმული, რომ ელჩებმა კარგად ვერ გაიგეს წინანდელი ორი ნოტაო. ოსმალეთის მთავრობას იმედი აქვს, რომ ელჩები ნამდვილ დახმარებას გაუწევენ ამ საკითხის გადაწყვეტის დროს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ოსმალეთისათვის.

**აბაცია**. დღეს საბერძნეთის მეფესთან საუზმის დროს კრეისერ „ფსარა“-ზე დაესწრნენ ტრიესტის მთავარ-მართებელი და ფიუმეს გუბერნატორი. მეფემ იმპერატორი ფრანც-იოსების სადღეგრძელო წარმოსთქვა; მთავარ-მართებელმა მეფე გიორგის სადღეგრძელო დალია და სთქვა, რომ მას მინდობილი აქვს იმპერატორის სახელით სალამი მიუძღვნას მეფეს.

**ლოძი**. რუსეთის ვაჭრობისა და მრეწველობის წამახალისებელ აქაურ საზოგადოებაში მოხდა მატყლეულობის მწარმოებელ აქაურ მექარხნეთა კრება კომერციის სოვეტნიკის კუნიცერის თავმჯდომარეობით. კრებამ განიხილა კითხვა შალეულობაზე და საზოგადოდ შალის მრეწველობაზე ბაჟის შესახებ. საზღვარ გარეთიდან მოტანილი შალეულობა მეტადრე უკანასკნელ ხანებში შესამჩნევად გავრცელდა და ეს ცუდად მოქმედობს აღნიშნულ მრეწველობაზე არსებულ ბაჟის გამო; ამის გამო ბევრმა მექარხნემ სრულებით მოსპო წარმოება ძვირფასის შალეულობისა, ან მეტად შეამცირა იგი. კრებამ დაადგინა ამორჩეულ იქმნას კომისია იმის გამოსარკვევად, თუ რამდენი მზადდება ლოძში შალეულობა, და წარედგინოს სამინისტროს შუამდგომლობა ბაჟის მოსპობის შესახებ.

რედაქტორი ალ. ჭუჭნია.
გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

# გამოსადეგი ცნობანი

**პეტერბურგის ბირჟა 27 აპრილს.**

ვექსელის კურსი 3 თვით:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში | 93,75 | |
| ბერლინზე 100 მარკაში | 45,92 1/2 | |
| პარიზზე 100 ფრანკში | 37,35 | |
| ლონდონზე ჩეკები | 94,70 | |
| ბერლინზე „ | 46,30 | |
| პარიზზე „ | 37,62 1/2 | |
| ბირჟის დისკონტი | 5 1/2,—7% | |
| 4% სახელმწიფო რენტა | 96 1/8 | გაყიდ. |
| 4 1/2% შინაგანი სესხი 1893 წ. | 100 1/2 | „ |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ, მამ. ბანკისა | 95 | „ |
| 5% 1-ლ შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ. | 360 1/2 | გაყიდ. |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 289 | მყიდვ. |
| 5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა. | 218 1/2 | გაყიდ. |
| 3 1/2% გირავ. ფურ. იმავე ბანკისა | 89 | „ |
| 5% ობლიგაციები ტფ. საკრედიტო საზოგ. | — | — |
| 4 1/2% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა | 85 3/4 | გაყიდ. |
| ტფილ. საადგ.-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურცლ | 93 | „ |
| 4 1/2% გირავნობ: ფურც. იმავე ბანკისა | 87 1/2 | „ |
| ქუთ. საადგ.-მამ. ბანკის. 6% გირ. ფურცლ | — | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — | — |

---

## მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისის).

სწრაფი მატარებელი № 2 ტფილისიდან ბაქოში გადის კვირაში ერთხელ—ოთხშაბათობით დილის 7 ს. 56 წ. (8 ს. 54 წ.), ბაქოში ჩადის საღამოს 9 ს. (9 ს. 58 წ.).

სწრაფი მატარებელი № 1 ბაქოდან ტფილისში გადის დილის 6 ს. 50 წ. (7 ს. 48 წ.), ტფილისში ჩამოდის საღამოს 8 ს. 12 წ. (9 ს. 10 წ.

საფოსტო მატარებელი № 3 ბაქოდან ტფილისში გადის ღამის 11 ს. 15 წ. (12 ს. 13 წ.). ტფილისში ჩამოდის ნაშუადღევის 5 საათ. 35 წ. (6 საათ. 33 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის საღამოს 6 საათ. 30 წ. (7 ს. 28 წ.), ბათუმში ჩადის დილის 7 ს. 10 წ. (8 ს 8 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 5 ბაქოდან ტფილისში გადის ნაშუადღევის 3 ს. 5 წ. (4 ს 3 წ.), ტფილისში ჩამოდის დილის 8 ს. 23 წ. (9 ს. 21 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბათუმში გადის დილის 9 ს. 3 წ. (10 ს. 1 წ.), ბათუმში ჩადის საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.).

მგზავრთა მატარებელი № 6 ბათუმიდან ტფილისში გადის დილის 8 ს. 56 წ. (9 ს. 54 წ.), ტფილისში ჩადის საღამოს 8 ს. 42 წ. (9 ს. 40 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის საღამოს 9 ს. 22 წ. (10 ს. 20 წ.), ბაქოში ჩადის შუადღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.

საფოსტო მატარებელი № 4 ბათუმიდან (11 ს. 45 წ.), ტფილისში ჩადის დილის 11 ს. 18 წ. (12 ს. 16 წ.).

იგივე მატარებელი ტფილისიდან ბაქოში გადის შუადღის 12 ს. 36 წ. (1 ს 34 წ.), ბაქოში ჩადის დილის 7 ს. (7 ს. 58 წ.).

## საავადმყოფოები.

ქალაქის სახელმწიფო საავადმყოფო, ხეილის ქუჩა, სახელმწიფო [illegible] თო ოთახში—12 მან. [illegible] ოთახში—60 მან. თვეში.

ქალაქის სამკურნალო. მუხრანის ქუჩა, სახლი ტერ-ოსიფოვისა. რჩევა 30 კაპ., ღარიბთვის რჩევაცა და წამლობაც უფასოა. სამკურნალოს გამგე ექიმი გ. თარხანოვი.

ქალაქის სამკურნალოს განყოფილებანი:

ავლაბრისა, კახეთის ქუჩა, სახლი ტერ-[illegible]როვისა. გამგე ექიმი მირაქოვი.

კუკიისა, ალექსანდროვის ქუჩა, სახლი მე[illegible] ქუმოვისა, ექიმი ნ. კასუმოვი.

ხარფუხისა, ვორონცოვის ქუჩა, სახლი ედიგაროვისა, ექიმი ტერ-ასატუროვი.

თვალების სამკურნალო, ელისაბედის ქუჩა, სახლი ჩითახოვისა, ავადმყოფებს უფასოდ აძლევენ რჩევას, გამგე ექიმი გ. ტარსაიძე.

ქალაქის საავადმყოფო სულით ავადმყოფთათვის, უფასო, იმყოფება კოჯრის ქუჩაზე ბარონისა, ტიზენგაუზენისა და ეჯუბოვის სახლ-ში. ექიმი მ. გედევანიშვილი.

სიფილისით ავადმყოფ ქალთათვის საავადმყოფო იმყოფება ავლაბარში, პეტრე-პავლეს ეკლესიასთან. 25 ადგილი უფასოა, 15 ადგილი—ფასიანი. თვეში ღირს 12 მან. ექიმი ის[illegible] მანოვი.

გადამდებ სენით ავადმყოფთათვის უფასო საავადმყოფო. გამგე ექიმი გულგულიანცი.

ქალაქის უფასო ღამე თავ-შესაფარი სახლები:

1) ვორონცოვის ქუჩა, მეექვსე ნაწილი, სახლი მელიქიანცისა.

2) დიდუბეში, სახლი გოლდლიუსტისა.

---

# ტფილისის ქალაქის გამგეობა

ამით აცხადებს, რომ ქ. ტფილისში, ნახმად კავკასიის მთავარ მართებლის მ[illegible] დამტკიცებულ დებულებისა, ცხენის ბ[illegible] რობის შესახებ ხუთ ამა მაისის [illegible] დგან გაიმართება **ცხენის ბაზრობა**, [illegible] მელიც გაგრძელდება 19 მაისამდე. აღ[illegible] შნულ ცხენის ბაზრობისათვის ადგი[illegible] დანიშნულია დიდუბეში კავკასიის ცხ[illegible] მოშენების წამქეზებელ საზოგადოების მ[illegible] დანზედ. (3—6—3

Открыта подписка на еженедѣльный иллюстрированный политическій, литературны[й] общественный журналъ

# „АРГОНАВТЪ“

**СЪ ЕЖЕДНЕВНЫМИ ПРИБАВЛЕНІЯМИ,**

ИЗДАВАЕМЫЙ ВЪ Г. ТИФЛИСѢ

Подробная программа будетъ напечатана въ первомъ нумерѣ газеты, который выйдетъ 20-го мая.

*Завѣдывающіе отдѣлами:* Вейденбаумъ Е. Г,—кавказовѣдѣніе и библіографія. Иностра[нная] иностранная политика. Іоаннисіани А. А.—экономическій и торговопромышленный. А—нъ—внутр[еннее] обозрѣніе. Потто В. А.—военная исторія. Инженеръ Раголеръ Ю. Я.—научно-техническій. Тхорже[вскій] А. А.—литература и искусство. Хачатуровъ И. Г.—провинціальная жизнь, хроника и судебный от[дѣлъ]. Горн.-инж. Ченгеры М. И.—горно-промышленный. Бюхнеръ—художественный.

Фельетоны П. А. Опочинина.

Постоянные сотрудники: Аствацатуровъ М. П., Борманъ К. Г., Гедеоновъ А. Г., Іоаннисіани [illegible] Иваненко В. Н., Кипшидзе А. Ф., Кипшидзе П. Ф., Кузьминъ А. И., Лейстъ Артуръ, Опочининъ [illegible] Пахомовъ В. Н., проф. Рорбахъ, Тамамшевъ М. И., Францева В. А., кн. Черкесовъ В. Н., Чимишкіанъ.

Постоянные корреспонденты въ Петербургѣ, Москвѣ, Одессѣ, Баку, Батумѣ, Кутаисѣ, Пятиго[рскѣ], Эривани и др. городахъ Кавказа, Берлинѣ и Парижѣ, а также въ Персіи и Турціи. Письма изъ Б[ерли]на—проф. Рорбаха и изъ Парижа—Р. А. Іоаннисіани.

ЖУРНАЛЪ будетъ выходить каждое воскресенье въ размѣрѣ 16 стр. in 4, съ портретами, ви[дами], рисунками и иллюстраціями по текущимъ событіямъ.

ЕЖЕДНЕВНИКЪ будетъ выходить, не исключая понедѣльниковъ и послѣпраздничныхъ дн[ей], [въ] форматѣ средняго газетнаго листа.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: по 1-ое января 1902 г. для городскихъ и иногороднихъ 5 руб., на 3 [мѣс. 3] руб. и два мѣс.—2 руб.

Плата за объявленія въ еженедѣльникѣ за строку петита: на 1-й стр. 20 коп., на остальны[хъ] [10] коп., въ ежедневникѣ: на 1-й стр. 10 к. и на остальныхъ 5 к.

Подписка принимается въ Тифлисѣ—въ редакціи и конторѣ (Головинскій, № 14), въ „Центра[льной] книжной торговлѣ“, въ книжной торговлѣ Л. Б. Хиддекеля и въ газетномъ его агентствѣ (уголъ Б[аря]тинской и Головинскаго проспекта) и въ Баку въ книжной торговлѣ Л. Б. Хиддекеля.

Редакція и главная контора: Головинскій проспектъ, домъ Сараджева, № 14. Отдѣленіе кон[торы]: Газетное агентство Л. Б. Хиддекеля (уголъ Барятинской и Головинскаго пр.).

Съ 1 іюня будетъ открытъ кабинетъ для чтенія русскихъ, туземныхъ и иностранныхъ га[зетъ и] журналовъ при редакціи „Аргонавта“. Въ кабинетѣ будутъ получаться до 40 названій газетъ, журн[аловъ], научныхъ изданій, романы, повѣсти и разсказы.

Кабинетъ будетъ открытъ съ утра съ правомъ безплатнаго входа подписчикамъ „Аргон[авта]“. Неподписчики покупаютъ при входѣ номера ежедневнаго прибавленія.

Редакторъ-издатель *И. Ф. Тхоржевскій*

Администраторъ *И. Г. Хачатуровъ*.

3—2

Дозволено цензурою. Тифлисъ, 4 Мая 1901 г.

სტამბა ქართ. ამხ—ბისა, ვანქის დიდი ქუჩა № 27